

გარეჯის მაცნა



საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №8(310) 2024 წ. 16-30 აპრილი შპსი 1 ლარი

პროფესიული დღე მიულოცეს 15 აპრილი საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახურის დაარსების დღეა!

აღნიშნულ თარიღთან დაკავშირებით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი ავთანდილ გულიკაშვილი საკრებულოს თავმჯდომარესთან, საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელთან და სსიპ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახურის დაგეგმარებისა და ანალიზის სამმართველოს კახეთის ცენტრის უფროს ლევან მურაბაშვილთან ერთად მუნიციპალიტეტის მასშტაბით, საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურებს შეხვდა, პროფესიული დღე მიულოცა და სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისთვის მადლობის სიტყვები გადასცა.

„პირველ რიგში, ვულოცავ ყველა მანდატურს და მანდატურის სამსახურის მთელ გუნდს პროფესიულ დღეს. მადლობა, რომ ყოველდღიურ რეჟიმში ფასდაუდებელ შრომას ეწევი და ზრუნავთ ჩვენი მოსწავლეების უსაფრთხოებაზე. მნიშვნელოვანია, რომ თითოეული მანდატური არის მოსწავლის, ბავშვისა და მშობლის მეგობარი. ეს კარგად ჩანს ჩვენს დღევანდელ პრეზენტაციაში, რაც ნათლად ასახავდა მანდატურების როლს სასკოლო ცხოვრებაში.“ - განაცხადა ავთანდილ გულიკაშვილმა.



აბროდაზღვევა და არსებული გამოწვევები

სამართლებელს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, დავით ონოფრიშვილი და სამსახურის წარმომადგენლები, დაზღვევის დღისადმი მიძღვნილი კამპანიის ფარგლებში, კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულს, გიორგი ალადაშვილს, სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეებსა და მუნიციპალიტეტების მერებს შეხვდნენ.

კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა კახეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულს და მერებს გააცნო სადაზღვევო ინდუსტრიაში არსებული მდგომარეობა, 2023 წლის საბოლოო შედეგები და სამსახურის ფუნქციები მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით.

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა აბროდაზღვევის პროექტის მნიშვნელობასა და ამ კუთხით კახეთის რეგიონში არსებულ გამოწვევებზე.

დავით ონოფრიშვილმა და გიორგი ალადაშვილმა ისაუბრეს მომხმარებლის უფლებების ეფექტური დაცვის აუცილებლობაზე, მომხმარებლის უფლებების თაობაზე მათი ინფორმირების აუცილებლობაზე და ამ მიმართულებით სამომავლოდ განსახორციელებელი ღონისძიებები დასახეს.



შეხვედრა ალ. ცხვედაძის სახელობის სტიპენდიანტებთან

ღია ენის დღესთან დაკავშირებით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი ავთანდილ გულიკაშვილი ალექსანდრე ცხვედაძის სახელობის სტიპენდიანტებს შეხვდა და მადლობის სიტყვები გადასცა.

მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებით, მიმდინარე წლის მარტიდან, მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული წარჩინებული სტუდენტებისათვის ალექსანდრე ცხვედაძის სახელობის სტიპენდია დაწესდა.



ფანოზიშვილთან ერთად ესწრებოდა...

ქვეპროგრამა გულისხმობს მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებისთვის ფულადი ჯილდოთი წახალისებას, სტუდენტებში მოტივაციის ამაღლებას, განათლების ხელშეწყობასა და მოწვევადი ჯგუფების მხარდაჭერას.

ფულადი ჯილდოს ოდენობა ერთ წარმატებულ სტუდენტზე სემესტრში შეადგენს 770 ლარს, რომელიც სემესტრულად, სასწავლო წლის განმავლობაში გაიცემა.

შეხვედრა, კულტურის სახლის დიდ დარბაზში ახალგაზრდებისთვის დედაენის დღისადმი მიძღვნილი კონცერტით დასრულდა.

ღონისძიებას საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი, ავთანდილ გულიკაშვილი ახალგაზრდებთან, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ვეფხია ჩერქეზიშვილთან და საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელ- ლელა

22 აპრილი დედამიწის დღეა! ბავუფროთხილდეთ ბარემოს

22 აპრილს, დედამიწის დღესთან დაკავშირებით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში დასუფთავების აქცია გაიმართა. აქციის ფარგლებში, შესაბამისი ტექნიკის საშუალებით და ახალგაზრდების ჩართულობით, სოფელ მანავში ე.წ. "საბანთ ხევი" და მისი მიმდებარე ტერიტორია გაიწმინდა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია მოგიწოდებთ, ნუ დაგაბინძურებთ გარემოს! თითოეულმა მოქალაქემ უნდა გააცნობიეროთ გარემოს დანაგვიანებით გამოწვეული საფრთხე და ერთად ვიზრუნოთ ჩვენი ქვეყნის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე!



ინფრასტრუქტურა-2024 პროგრამა „სოფლის მხარდაჭერის“ პროექტები



კვლავაც გრძელდება პროგრამა „სოფლის მხარდაჭერის“ პროექტების განხორციელება, რომლებმაც უკანასკნელ წლებში უდიდესი უმნიშვნელოვანესი პრობლემების მოგვარება შეაძლებინა სოფლებს – საუბნო გზების მოწესრიგებამ უფრო-კომფორტული გახადა გადაადგილება, სასმელი წყლების სისტემების რეაბილიტაციამ გააუმჯობესა მოსახლეობამდე უდანაკარგოდ და სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვით სასმელი წყლის მიწოდება. სარწყავი ქსელის რეაბილიტაციამ გლეხს გააუმჯობესა მოსავლის მოყვანა. სოფლის სკვერების რეაბილიტაციამ, სტადიონების მოწყობამ ერთობ გააუმჯობესა და სახალისო გახადა მოზარდი თაობისა და ახალგაზრდების ყოველდღიური ცხოვრება, ტრენაჟორებმა ყველა ასაკის ადამიანი მიიზიდა. ხიდების მოწყობამ გააუმჯობესა სოფლებთან დაკავშირება. გარე განათებამ – უსაფრთხო გახადა და მით ფეხით მოსიარულეთა მოძრაობა, სანიაღვრე არხების მოწყობის იერ-სახე შეუნარჩუნა უკვე მოწყობილ, მოასფალტებულ ქუჩებს. საბავშვო ბაღების ეზოებში დამონტაჟებულმა ატრაქციონებმა მეტი სიხალისე შეიტანეს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ნაყოფიერ მუშაობაში.

მაშ ასე, საბარეჯო მუნიციპალიტეტის სოფლებში უმნიშვნელოვანესი პროექტები განხორციელდება და ესენია:



1. სოფელი გომბორი – სტადიონის მოწყობა (სკოლასთან). დაფინანსება – 16000 ლარი.
2. სოფელი რუსიანი – გზის რეაბილიტაცია – ხიდ-ბოგირების მოწყობა – 10000 ლარი.
3. სოფელი ვერონა – სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია – 10000 ლარი.
4. სოფელი ვაშლიანი – გზის რეაბილიტაცია – 10000 ლარი.
5. სოფელი ასკილაური – სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია – 10000 ლარი.
6. სოფელი კოჭბანი – გზის რეაბილიტაცია – 10000 ლარი.
7. სოფელი ოთარაანი – გზის მოხრეშვა (ნაფრეხით) – 10000 ლარი.
8. სოფელი სასადილო – გზის რეაბილიტაცია – 10000 ლარი.
9. სოფელი გორანა – გზის რეაბილიტაცია – 10000 ლარი.
10. სოფელი ბოტკო – გზის რეაბილიტაცია (გაერთიანებული კოჭბანთან) – 10000 ლარი.
11. სოფელი იკელი გორანა – გზის რეაბილიტაცია – 10000 ლარი.
12. სოფელი უჯარმა – საჯარო სკოლასთან არსებული სტადიონის რეაბილიტაცია – 10000 ლარი.

13. სოფელი პაღლო – ბეტონის გზის მოწყობა – 10000 ლარი.
14. სოფელი მუხრანის – სარწყავი ქსელის რეაბილიტაცია – 10000 ლარი.
15. სოფელი ხაშში – ადმინისტრაციულ შენობაში არსებული დარბაზის რეაბილიტაცია – 20000 ლარი.
16. სოფელი პატარძეული – გარე განათება – 20000 ლარი.
17. სოფელი ნინოწმინდა – სკვერის მოწყობა – 20000 ლარი.
18. სოფელი წყაროსთავი – სასაფლაოს შემოღობვა – 16000 ლარი.
19. სოფელი გორანა – სოფლის გზის რეაბილიტაცია – 10000 ლარი.
20. სოფელი უდაბნო – საბავშვო ბაღის ეზოში ატრაქციონების მოწყობა – 16000 ლარი.
21. სოფელი გორგოწმინდა – საბავშვო ბაღის ეზოს შემოღობვა – 20000 ლარი.
22. სოფელი ანთოკი – სკვერის რეაბილიტაცია 10000 ლარი.
23. სოფელი მარიამჯვარი – ტრენაჟორების მოწყობა – 10000 ლარი.
24. ქვემო სამგორის დასახლება – სკვერის მოწყობა – 20000 ლარი.

25. სოფელი თოხლიაური – გარე განათება – 16000 ლარი.
26. სოფელი მანავი – სოფელში არსებული სკვერში ატრაქციონების მოწყობა – 20000 ლარი.
27. სოფელი ზემო ბურდიანი – სოფელში არსებულ სკვერში ტრენაჟორების მოწყობა – 10000 ლარი.
28. სოფელი დიდი ჩაილური – ტრენაჟორების მოწყობა – 16000 ლარი.
29. სოფელი პატარა ჩაილური – სანი-აღვრე არხის მოწყობა (ეკლესიასთან) – 16000 ლარი.
30. სოფელი კაკაბეთი – სოფელში არსებული ხიდის რეაბილიტაცია – 20000 ლარი.
31. სოფელი ვერხვიანი – სკვერის მოწყობა – 20000 ლარი.
32. სოფელი ქვემო ყანდაურა – საბავშვო ბაღისა და საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე ატრაქციონების მოწყობა – 20000 ლარი.
33. სოფელი ზემო ყანდაურა – გარე განათება – 10000 ლარი.
34. სოფელი ბაღიაური – ტრენაჟორების მოწყობა – 20000 ლარი.

35. სოფელი შიბლიანი – სოფლის შემოსასვლელში არსებული ობელისკის რეაბილიტაცია 16000 ლარი.
36. სოფელი მზისგული – სოფლის შემოსასვლელში არსებული ობელისკის რეაბილიტაცია 16000 ლარი.
37. სოფელი დუზაგრამა – სარწყავი არხის რეაბილიტაცია – 16000 ლარი.
38. სოფელი პაღლო – სარწყავი არხის რეაბილიტაცია – 16000 ლარი.
39. სოფელი წიშბატანი – სარწყავი არხის რეაბილიტაცია – 16000 ლარი.
40. სოფელი თულარი – გარე განათება – 20000 ლარი.
41. სოფელი კახლარი – გარე განათება – 20000 ლარი.
42. სოფელი ზემო ლამბალო – შიდა გზების მოხრეშვა – 20000 ლარი.
43. სოფელი ქვემო ლამბალო – შიდა გზების მოხრეშვა – 20000 ლარი.
44. სოფელი მუღანლო – გარე განათება – 20000 ლარი.
42. სოფელი ქეშალო – შიდა გზების მოხრეშვა – 20000 ლარი.

ქუჩა

საბარეჯოში თანამედროვე ალმასი ბილანშიზილი, სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თანამედროვე მარცხთან ლეზან რუსთიაშვილითან ერთად, ქ. საგარეჯოში, რუსთაველის ქუჩის ზედა მონაკვეთის, ასფალტის პირველი ფენით მოწყობის სამუშაოები ადგილზე მიიწვევა.



საბარეჯოში მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამედროვე-ალექსი გილაშვილი, ადგილობრივი თემმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, სოფელ პატარა ჩაილურსა და მანავი მიმდინარე სამუშაოები მიიწვევა.



საუბნის პროექტი

ბანახლელეზული „ბმირთა საგანე“

ბილანში მირთა მირთა მირთა პროექტი - სოფელ პატარა მირთა მირთა საგანის საბარეჯოში მუნიციპალიტეტის მერის ავთანდილ გულიკაშვილის გადაწყვეტილებით, აღნიშნული პროექტი მიმდინარე წლის აპრილში დასრულდება და მოდერნიზებული, ახალი მოსახლეობის სივრცე ნებისმიერი ვიზიტორისთვის ერთ-ერთ შთაბეჭდვად და დასამახსოვრებელ ადგილად იქცევა.



ქალაქ საბარეჯოში ბილანშიზილის ქუჩის მოწყობა დასრულდა



ინფრასტრუქტურა-2024

ქუჩა

სოფელი ბაღიაური

საბარეჯოს მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ისტორიული პროექტების განხორციელება გრძელდება.

სოფელ ბაღიაურში, ე.წ. "კაკლების უბანში" საავტომობილო გზის მოასფალტების სამუშაოების **მეორე ეტაპი** დაიწყო. პროექტი რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან 908 541 ლარით ფინანსდება.

სამუშაოები მიმდინარე წლის გაზაფხულის ბოლოს დასრულდება და 900 გრძობივი მეტრი ახალი საავტომობილო გზით 50 ოჯახი ისარგებლებს.



სოფელი ნინოწმინდა



სოფელ ნინოწმინდაში, 21-ე საუბნო ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოები აქტიურად გრძელდება.

პროექტი, რომელიც ადგილობრივი ბიუჯეტიდან და რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ფინანსდება, მუნიციპალიტეტის მერმა, ავთანდილ გულიკაშვილმა პირველ მოადგილესთან, ემზარი კუჭუაშვილთან ერთად ადგილზე მოინახულა.



მრავალბინიანი

მ. საბარეჯოში, ერეკლე II-ის ქუჩაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადის და სადარბაზოების სარეაბილიტაციო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს.

პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან და რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ფინანსდება.

სამუშაოები ეტაპობრივად განხორციელდება და არსებული კორპუსების ფასადების აღდგენით სამუშაოებს სრულად მოიცავს.



ტურისტული ობიექტი

საბარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა, ავთანდილ გულიკაშვილმა მოადგილესთან ერთად სოფელ კაკაბეთში ტურისტული ობიექტი Vელდინო • ველინო მოინახულა და ღვინის წარმოების პროცესს გაეცნო.

მეღვინეობა „ველინო“ სოფელ კაკაბეთში მარანს აფართოებს და ძალიან მაღე მომხმარებელს ადგილზე უმასპინძლებს - ამის შესახებ ბრენდის დამფუძნებელმა და მეღვინემ, ბექა ჯიმშელაძემ საუბრისას აღნიშნა. ამასთან, დამფუძნებელმა ექსპორტზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ცოტა ხნის წინ **ბრენდმა ღვინო მეცამეტე ქვეყანაში გაიტანა**.

„ჩვენ 2019 წლიდან გაგვაქვს ღვინო ექსპორტზე, ამერიკაში, კანადაში, ბელგიაში, დანიაში, ავსტრალიასა და სხვა ქვეყნებში, ახლა გაეიტანეთ ღვინო ნორვეგიაშიც“.

გამოწვევებზე საუბრისას, ბექა ჯიმშელაძე განმარტავს, რომ მთავარი პრობლემა ცნობიერების ამაღლება და ბუნებრივი პირობებია.

„მთავარი გამოწვევა გარემო-პირობებია, ვინაიდან გვაქვს ორგანული წარმოება და სრულიად დამოკიდებულები ვართ ამინდის პირობებზე, ასევე, ჩემი აზრით, აუცილებელია მცირე მარნების მხარდაჭერა და მომხმარებლის ცნობადობის ამაღლება“.

ცნობისთვის, „ველინო“ საქართველოს ბაზარზე 2016 წლიდან გამოჩნდა და ის მომხმარებელს შვიდი სახის ღვინოს სთავაზობს, ბრენდი ექსპორტზე 2019 წელს გავიდა და მას შემდეგ, მთლიანად ექსპორტზეა ორიენტირებული. კომპანია 20,000 ბოთლ ღვინოს აწარმოებს და აქედან 80% ექსპორტზე გადის.

„**მრავალფუნქციური ტურისტული კომპლექსი - ბევრი საინტერესო შეთავაზებით უნიკალური შთაბეჭდილებას შეუქმნის ნებისმიერ ვიზიტორს.**

აღნიშნული პროექტი, უმნიშვნელოვანესია, რაც თავისთავად განაპირობებს ადგილობრივი მაცხოვრებლების დასაქმებას და ტურიზმის განვითარებას. მინდა წარმატება ეუსურფო დამფუძნებლებს და ყველა ვიზიტორს სასიამოვნო მოგზაურობა. ჩვენი მიზანია,



ხელი შევუწყოთ ადგილობრივი ბიზნესის განვითარებას, დასაქმებას, რაც საბოლოო ჯამში დადებითობისკენ შეცვლის საერთო ეკონომიკურ ფონს. ამიტომ, მაქსიმალურად უნდა მოვაწესრიგოთ ტურისტული ინფრასტრუქტურა, რათა ვიზიტორებისთვის ხელში ისა წვდომი გაეზადოთ ტურისტული ობიექტები და ჩვენი ღირსშესანიშნაობები.“ - აღნიშნა ავთანდილ გულიკაშვილმა.



სოფელი ბიორბიწმინდა



საბარეჯოს მუნიციპალიტეტის საერებულოს თავმჯდომარემ-ალექსი გილაშვილმა, ფრაქციის თავმჯდომარესთან- ივანე ბეგიაშვილთან ერთად, სოფელ ბიორბიწმინდაში სპორტდარბაზის სახურავის რეაბილიტაცია ადგილზე მოინახულა.




კულტურა

„ხუთკუნჯულა“ – საბარეჯოს ბავშვთა მქსპერიმენტული თოჯინების თეატრი

ბარეჯოში თოჯინების თეატრი დასაბამს 1956 წლიდან იღებს, რომელსაც თავისი დიდი ძალისხმევითა და საგარეჯოს რაიონის მაშინდელი ხელმძღვანელობის, საქართველოს კულტურის სამინისტროს დახმარებითა და თანადგომით საგარეჯოს სახალხო თეატრის მსახიობმა და პედაგოგმა ილია (მობა) ბუზიაშვილმა ჩაუყარა საფუძველი. ახლა, წლების გადმოსახედიდან თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს თეატრი იყო 60-70-იანი და შემდგომი წლების მომავალი თაობების სავარგული სანახაობა, რომელიც იმავდროულად მათ აჩვენებდა და ასწავლიდა ბოროტებასთან, უქნარობასა და ამპარტანობასთან შეურთებლობას, სიკეთეს, შრომისმოყვარეობას. ერთი სიტყვით, თეატრზე მსახიობების ხელით წამოშობილი თოჯინები და ფარდასაც ამოფარებული მსახიობები პირნათლად ასრულებდნენ თეატრის წინაშე მდგარ უმთავრეს მოთხოვნას, მაგრამ...

ამ ქვეყნად არაფერია უცვლელი და ამ თეატრსაც დაუდგა ჩვენდღისა და ავბედობის ჯამი. იმ ავადმოსავლენარ 90-იან წლებში კი ისე მოხდა, რომ თეატრი გაიძარცვა, შემორჩენილი თოჯინები დაიტაცეს და ამ თეატრიდან მხოლოდ სახელი და მოგონება შემორჩა. საბედნიეროდ, ასე დიდხანს არ გაგრძელდებოდა, 1994 წლიდან საგარეჯოს კულტურის სახლის დირექტორის თინათინ მუხომბიძის ინიციატივით თეატრის სარბიელზე გამოჩნდა ახალი პიროვნება – მარინა (მარინა) შიშინაძე, აღზრდილი, განათლებული, პედაგოგიური მუშაობით და რაც მთავარია სხვა მრავალმხრივი ნიჭითა და უნარებით დაჯილდოებული ქალი, რომელმაც თავის თავზე იტვირთა ეს მეტად რთული, მაგრამ ჩვენი მომავალი თაობებისათვის მეტად მნიშვნელოვანი საქმის გაძლიერება და აგრეთვე, თითქმის 30 წელი უდალგოდ ემსახურება მას. არ გვინდა ხმაბლადი ნათქვამი გამოგვივიდეს, მაგრამ, სამართლიანობა მოითხოვს და უნდა ვთქვათ, რომ თუ სადღესოდ ეს თეატრი არსებობს და მუშაობს, ეს ამ ქალბატონის დამსახურებაა. ყველაფერი, რაც ამ თეატრში არსებობს და დგას. მისი საკუთარი ხელით არის დამზადებული და გაკეთებული, თოჯინებითა და მათი აღკაზმულობით დაწყებული, დეკორაციებითა და თოჯინების „სცენით“ დამთავრებული, რისი ნახვაც, დაინტერესებულ პირებს ამ თეატრსა და კულტსახლის ფოიეში მოწყობილ გამოფენებზე შეუძლიათ. ყველაზე უმთავრესი და უპირველესი კი, რამაც ამ წერილის დაწერა გადაგვაწყვეტინა, ქნ მარინას მიერ ამ სამიოდე წლის წინ ჩაფორმებული და ახლა უკვე ხორცშესხმული საქმეა, როცა გადაწყვიტა, თოჯინურ თეატრში ბავშვთა შეფასება და მონაწილეობა, შემდეგ კი დამოუკიდებელი ბავშვთა თოჯინური თეატრის შექმნა.

ეს იდეა პირველად 2021 წელს გაჩნდა, – მეუბნება ამ დიდი საქმის ინიციატორი, – სამსახიობო ხელოვნება ძალიან რთულია, მით უმეტეს, როცა საქმე თოჯინებთან და პატარა მაყურებელთან გვაქვს საქმე. ეს საქმე, სხვა ყველაფერთან ერთად სამსახიობო ნიჭსა და უნარებსაც მოითხოვს. უნდა გითხრათ, რომ ბავშვთა თოჯინური თეატრის პირველი მონაწილე მირიან წიგნაძე, თავისი ბებიის თინა მეზერიშვილის გამოისობით უმეტესად აქ იმყოფებოდა და მუდამ ამჟღავნებდა თოჯინების სპექტაკლების მომზადების დროს მასში მონაწილეობის სურვილს. სწორედ ამან გადაგვაწყვეტინა და მომცა სტიმული, რომ ჩამოგვეყალიბებინა ეს თეატრი. მირიანის გარდა ეს სურვილი კიდევ ოთხმა ბავშვმა გამოთქვა და რადგან ხუთნი იყვნენ, თეატრის სახელიც ამისდა მიხედვით შევარჩიეთ – ბავშვთა ექსპერიმენტული თოჯინების თეატრი – „ხუთკუნჯულა“. სადღესოდ მათი რიცხვი საკმაოდ გაიზარდა, ძალიან მონდომებული, ნიჭიერი და ნებისყოფიანი ბავშვები აღმოჩნდნენ, რომელთაგანაც თეატრის წამყვანი მსახიობები არიან: მარია ქართლელიშვილი, ნინო ხაბაზიშვილი, ბარბარე ფურცელაძე, მირიან წიგნაძე, თენგიზ ნუკრაძე, საბა ოვანოვი, ბარბარე სანიკიანი.



– ქნ მარინა, მოდი უფრო ახლოს წარუდგინოთ მკითხველს თქვენი თავი და გაწეული მუშაობა?

– დიდად მემამყება, რომ დავიბადე და გავიზარდე ისტორიულ სოფელ ნინოწმინდაში, პედაგოგების ოჯახში. ვიზრდებოდი ძალიან თბილი, კულტურული, შრომისმოყვარე, განათლებული ადამიანების გარემოში – სხვათა შორის ამას მხოლოდ ოჯახზე არ ვამბობ, მთელი სოფელი იყო ასეთი, მათგან ვისწავლე, რაც ვიცო, რაც კარგი გამაჩნია, ეს მათი დამსახურებაა. „ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ“ – ამბობს ეგზიუპერი. დავესესხები დიდ ნიკოლოზ ბარათაშვილს „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დაანდებინ, საშვილიშვილოდ გადაცემის“.

პროფესიით ვარ ფილოლოგი (რუსული ენა-ლიტერატურა), მასწავლებელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული. გარკვეული წლები ვიმუშავე სკოლაში, ხოლო 1994 წლის დეკემბრიდან რადიკალურად




შეიცვალა ჩემი საქმიანობის სფერო და აღმოჩნდა იქ, სადაც „ყოველთვის ვიყავი“ – ანუ თეატრი. კერძოდ, საგარეჯოს სახალხო თეატრში – ჯერ მთავარ სპეციალისტად, შემდეგ ვიყავი მხატვარი, ხალხური შემოქმედების განყოფილების გამგე და 2006 წლიდან დღემდე ვარ თოჯინების სახალხო თეატრის ხელმძღვანელი. თუმცა, თოჯინების თეატრში მოღვაწეობა პირველივე დღიდან დავიწყე – აღვადგინე ძველი თოჯინები სპექტაკლისთვის „ხუთკუნჯულა“, რომელშიც შედგა ჩემი დებიუტი. 1995 წლის დადგომა აღდგენილი თოჯინებით მივულოცეთ პატარა მაყურებელს და მიხედვით, რომ თოჯინების თეატრი, ხელახლა უნდა დაბადებულიყო“ და ეს ჩვენ უნდა გაგვეკეთებინა. თოჯინების გაკეთება ისე დამავალეს, რომ არც უკითხავთ, არც მე გამკვირვებია. ასე გავხდი მეთოჯინე. სირთულეების გადალახვას მეგობრებთან ერთად – ეკა, ბადრი, ივგრი, მიშა, ვასილი ენთუზიაზმით ვახერხებდით.

წლებმა საოცარი სიჩქარით ჩაიქროლა. თოჯინების თეატრს მუშაობა არ შეუწყვეტია. მიუხედავად ბევრი დაბრკოლებისა და დღემდე ღირსეული ადგილი უკავია მთელი ქვეყნის მასშტაბით. გვაქვს საინტერესო რეპერტუარი და ვემსახურებით ყველაზე ერთგულ და კრიტიკულ მაყურებელს, მონაწილეობას ვიდებთ ფესტივალებში და შედეგებიც საუკეთესოა.

– კულტსახლის სამკითხველო დარბაზთან კარებზე წარწერას მოგვარა თვალს – ბავშვთა თოჯინების თეატრის...

– კი, ეს არის ამ თეატრის სარეპერტიციო დარბაზი, სადაც ბავშვებს შევასწავლით სამსახიობო ხელოვნებას,



ისე, რომ მთელი უქმე დღეების გატარება აქ, ბავშვებთან მიწვეს.

– ზემოთ საუბარში ვახსენეთ, ექსპერიმენტული თეატრი, ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოში მსგავსი თეატრები ჯერ არ გვაქვს?

– ასეა; ბევრგან ცდილობენ ამის გაკეთებას, მაგრამ ჯერჯერობით არ გამოსდით.

– გამოდის, რომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, ჩვენს ქვეყანაში, ამ საქმის რომ იტვირთავს, „პიონერია“. მოდი ახლა იმ წარმატებებზე გვიამბოთ, რომლებიც ბავშვთა ექსპერიმენტულმა თოჯინურმა თეატრმა დაარსებიდან უმცირეს დროში – სამ წელიწადში მოიპოვა.

– მართალია, დიდი ხანი არაა, რაც ეს თეატრი დაარსდა, მაგრამ უკვე მოვასწართ ორი ფესტივალის „მოვლა“ და ყველგან უმაღლესი შეფასებები დავიმსახურეთ. ალბათ იცით, რომ შარშან სიღნაღში ჩატარდა საბავშვო თეატრების ფესტივალი – „ქიზივი-2023“, სადაც სხვა ბავშვთა თეატრებისაგან განსხვავებით, მარტო ჩვენმა თოჯინურმა თეატრმა მიიღო მონაწილეობა და უმაღლესი ჯილდო – გრან-პრი მოვიპოვეთ.

– კვლავზე, დიპლომების გვერდით გაკრულ, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის ავთანდილ გულიაშვილის ხელმოწერილ სიგელს ვხედავ, რის აღსანიშნავად არის იგი მიღებული?

– ეს არის მიმდინარე წლის თებერვალში გამართული საბავშვო თეატრების ფესტივალ „ფანტელში“ მოპოვებული წარმატების აღსანიშნავად, სადაც დავიმსახურეთ გრან-პრი და ნომინაცია „ფესტივალის მარგალიტები“. აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მადლობა ვუთხრა ჩვენი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელს, რომელმაც ამ სიგელთან ერთად ჩვენს ბავშვებს ფულადი ჯილდოებიც გადასცა და მთლიანად დაგვიფინანსა ბაკურიანის ფესტივალზე სამდღიანი ვიზიტი. მზრუნველობა და თანადგომა არ გვაკლია „კულტურის ობიექტების გაერთიანების“ ხელმძღვანელის ბუსო ღმინაშვილის მხრიდანაც. მათი ხელშეწყობით ვიყავით სასწავლო ექსკურსიით თბილისის სახელმწიფო, პროფესიული თოჯინების თეატრში, სადაც ბავშვებმა ნახეს სპექტაკლი „იენანამ რა ჰქმნა?“ და დაბავსალიერეს თოჯინების სახელოსნო.

– ცნობილია, რომ თოჯინების თეატრის სცენის გარდა წარმოდგენებს მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებშიც მართავენ...

– კი, შარშან გასვლითი სპექტაკლები გვექონდა მუნიციპალიტეტის ახერბაიჯანულენოვან საჯარო სკოლებში და ჩვენდა სასახლოდ, მათ შორის თბილისში – პოლიტექნიკური უნივერსიტეტის საახალწლო ღონისძიებაზე.

– როგორია საგარეჯოს ბავშვთა თოჯინური თეატრის „ხუთკუნჯულას“ მიმდინარე და სამომავლო გეგმები?

– დაარსების დღიდან ჩვენს თეატრს მომზადებული აქვს ორი სპექტაკლი ხ. გერნეტის „ბატის ჭუკი“ და ვაჟა-ფშაველას მოტივების მიხედვით შექმნილი „ტყის კომედია“.

ამჟამად ვმუშაობთ და დასრულების ფაზაშია ხალხური ზღაპრების და იგავარაკების მიხედვით სპექტაკლი „კეთილი მელაკულა“, რომელსაც სულ მალე წარუდგენთ ჩვენს პატარა მაყურებელს. დანარჩენ სათქმელს სამომავლოდ შევინახავ.

– კარგი. თებერვალში ბაკურიანის ბავშვთა ფესტივალზე თქვენ უკვე გააკეთეთ დიდი საქმე. კარგ დასაწყისს კი, როგორც ამბობენ, მუდამ კარგი საქმე მოჰყვება. და იმედია „ხუთკუნჯულა“ მომავალშიც გაგვახარებს თავისი კარგი საქმეებით.

– დიანაკიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია ის, რომ პატარა მსახიობებს საკმაოდ აქტიურად და დიდი მზრუნველობით უდგანან მხარში უფროსი მეთოჯინეები, მშობლები და ქალაქ საგარეჯოს მეორე საჯარო სკოლა, სადაც ისინი სწავლობენ. მეც, პირადად და უფროსი მეთოჯინეებიც ვიმედოვნებთ, რომ მომავალშიც წარმატებით გააგრძელებენ ამ საქმეს ჩვენი ნიჭიერი პატარა მსახიობები.

როცა პროფესიას ისევ თავიდან აირჩევს

ჩვენი მთიელების სამსახურში

ნათელა ექიმი –
სინათლე და იმედი



სულ ახლახანს, 30 მარტს, ექიმთა საერთაშორისო დღეს, პროფესიული დღესასწაული მიულოცა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა ავთანდილ გულიკაშვილმა ქნათელა სკვარცოვასამ თავიანთი უსტუში ჩაქოვილი იყო ის პატივისცემა და მადლიერება, რასაც ქნი ნათელა თავისი ექიმად მოღვაწეობის საკმაოდ დიდი დროის – 44 წლის მანძილზე იმსახურებს მხოლოდ გომბორის თემში შემაგალი ხუთი სოფლის და კოჭბანის თემში შემაგალი – შვიდი სოფლის მოსახლეობის მომსახურების გამო კი არა, არამედ იმ გამძლეობისათვის, რასაც იგი პირუთვნელად უძლებს – დღეს მკურნალი ექიმი ხომ უპირველესად ფსიქოლოგი უნდა იყოს და მაგალითი იმისა, როგორ ჯიუტად უნდა გაუძლოს ადამიანმა ცხოვრებისეულ გამოწვევებს, არ დაეცეს სულით და აზრით – როგორი ძლიერია ქართველი და მით უმეტეს – ქალი.

დაიბადა სოფელ გომბორში 1947 წლის 25 მარტს – პავლე ბაღიაურისა და თამარ ციგროშვილის მშრომელ და კაცთმოყვარე ოჯახში. გომბორის საჯარო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა თელავის საფერწლო-საბეჭდო სასწავლებელში გააგრძელა, მაგრამ სურვილი, გამხდარიყო ექიმი, არ ტოვებდა, ამიტომაც, 1979 წელს, ჩიტას სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის შემდეგ საექიმო საქმიანობა 1980 წლიდან გომბორში დაიწყო და დღემდე გომბორისა და კოჭბანის თემებში შემაგალი სოფლების მოსახლეობას ერთგულად, უღალატოდ და პროფესიონალ მკურნალად უდგას იმედად. მეუღლე – პავლე სკვარცოვი სიცოცხლეში ყოველთვის მხარში ედგა მთის სოფლების მოსახლეობისათვის დროული სამედიცინო დახმარების გასაწევად... ორივე ვაჟიშვილი ხომ უთქმელად გრძნობს იმ დიდ ტვირთს დედისას, რომელსაც მართლაც ვაჟკაცურად უმკლავდება და პირნათელი რჩება ექიმის ფიცისა. არც დღესაა ადვილი მოსახლეობის ჯანმრთელობის სადარაჯოზე ყოფნა, მით უმეტეს პანდემიისას, როცა ქუჩებში გამოსვლისასაც კი ემინოდან ადამიანებს, რომ

ერთ ხანს დაცალიერდა ჩვენი მუნიციპალიტეტის თემებში შემაგალი სოფლები – იქ მცხოვრებმა ადამიანებმა საარსებო წყაროს მოსახლად ემიგრანტობაზეც არ თქვეს უარი, მაგრამ დარჩნენ და მშობლიური სახლის ანგელოზს ვერ უღალატეს, კერიაზე ცეცხლი არ ჩააქრეს მათ, ვისაც შეეძლო ვაჟკაცურად გამკლავებოდა გასული საუკუნის 90-იანი წლებისა და ახალი საუკუნის პირველი ათეული წლების სიღუბლიერს... მაგრამ... ბოლო ათეულ წლებში სასიკეთოდ შეიცვალა აქ მცხოვრებთათვის ცხოვრების პირობები – ქვეყნის მთავრობამ შეიმუშავა კანონ-პროექტები, რომლებმაც მთაში მცხოვრებ ადამიანებს უკეთესი ცხოვრების იმედები ჩასახა გულში. „მთის კანონმა“ უამრავი ადამიანი, ოჯახი დააბრუნა თავის კერაზე, უამრავმა ახსნა თავის კარს ბოქლოში, აანთო კერიაზე ცეცხლი, ბაღში, მამულში ბელტი ბელტზე გადააწვინა... სკოლის საკლასო ოთახში მერხებს თვალსაზრისად გოგობიჭები მიუსხდნენ, საბავშვო ბაღები პატარებმა ააფრიალეს... სოფლებში დაიგო ასფალტი, რეაბილიტაცია ჩაუტარდა საბავშვო ბაღებს და თანდათან ინთება ყოველ საღამოს ახალი მობინადრის სახლში შუქი – მთას უბრუნდება მთიელი.

დაიხ, ასეა. მათ აქ ის ადამიანები ეიმედებან, რომლებიც წლების განმავლობაში, მიუხედავად ცხოვრებისეული სირთულეებისა, ვერ უღალატეს პროფესიას, ვერ მიატოვეს ადამიანის ჯანმრთელობის სადარაჯოზე მდგომის პოსტი და დღესაც იგივე ერთგულებით ემსახურებიან მათ თვალწინ დაბადებულ, გაზრდილ, დაფრთხილებულ და უკვე ოჯახის ბურჯებზე მდგომ ადამიანებს.

დაიხ, დღეს გაზეთის ფურცლებიდან მოვეფეროთ გომბორის თემის ოჯახის ექიმს – ქნათელა სკვარცოვას და უჯარმის თემის ოჯახის ექიმს მარინამ წოჟოლაშორს.

ალარაფერი ვთქვათ ოჯახის ექიმის დიდ პასუხისმგებლობაზე, რომელიც იმ დროს უფრო ფსიქოლოგი იყო – მსოფლიოში უცნობი, დღემდე ამოუცნობი, საშიში ვირუსის წინაშე. მაგრამ ესეც გადაიტანა გომბორის, კოჭბანის თემების მოსახლეობამ დაავადებულთან მამაცურად მებრძოდ, წლების განმავლობაში მათ გვერდით მყოფ ექიმთან ერთად.

დღეს პატარა ბავშვს რომ ჰკითხოთ, საუბარი აღარაა ასაკოვან ადამიანებზე, ყველაზე მეტად ნათელა ექიმის სწამთ და სჯერათ. ქალბატონის, რომელიც 77 წელია იმ პაერთ სუნთქვს, რაც მისი მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი მთიელების ჯანმრთელობაზე დადებითად მოქმედებს, 44 წელია იმ ყოველდღიურობით ათენებს და აღამებს, რა პრობლემები და სიხარულიც აქვთ მის მთიელებს.

სკოლებშიც ხშირი სტუმარია, უხარია ბავშვებთან შეხვედრა, მათთვის საინტერესო კითხვებზე პასუხის გაცემა.

მასთან ერთად გომბორისა და უჯარმის მოსახლეობის ჯანმრთელობის სამსახურში მედიცინის დები, გომბორის საექიმო ამბულატორიიდან **თამარ ბაღიაშორი** და უჯარმის სამედიცინო ამბულატორიიდან – **თამარ შხაბაძე** მამაცურად უმკლავდებიან იმ დაავადებებს, რომლებიც მთიელებს აწუხებთ.

მერე რაა, რომ 77 წელი შეუსრულდა, მერე რაა, რომ 44 წელია დამთავრებულია მისი მოსვენებით ვერ დაუდგია, მერე რაა, რომ თავისი „თავისთვის“ ერთი დღეც ვერ გაუმეტებია – არ იცის, როდის, ვის, რატომ დასჭირდება მისი სამედიცინო დახმარება, ის მდიდარი საექიმო გამოცდილება, რომელიც მან 4 ათეულ წელზე მეტია დააგროვა.

და რომ ჰკითხოთ – დღეს არჩევანის წინაშე რომ დიდგო, რომელი პროფესიას აირჩევდითო, წარბის შეკრებულად, დაუფიქრებლად გიპასუხებთ – ჩემი პროფესიის – ექიმისო!



ელა, მაგრამ სურვილი, გამხდარიყო ექიმი, არ ტოვებდა, ამიტომაც, 1979 წელს, ჩიტას სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის შემდეგ საექიმო საქმიანობა 1980 წლიდან გომბორში დაიწყო და დღემდე გომბორისა და კოჭბანის თემებში შემაგალი სოფლების მოსახლეობას ერთგულად, უღალატოდ და პროფესიონალ მკურნალად უდგას იმედად. მეუღლე – პავლე სკვარცოვი სიცოცხლეში ყოველთვის მხარში ედგა მთის სოფლების მოსახლეობისათვის დროული სამედიცინო დახმარების გასაწევად... ორივე ვაჟიშვილი ხომ უთქმელად გრძნობს იმ დიდ ტვირთს დედისას, რომელსაც მართლაც ვაჟკაცურად უმკლავდება და პირნათელი რჩება ექიმის ფიცისა. არც დღესაა ადვილი მოსახლეობის ჯანმრთელობის სადარაჯოზე ყოფნა, მით უმეტეს პანდემიისას, როცა ქუჩებში გამოსვლისასაც კი ემინოდან ადამიანებს, რომ



მარინა – მარინა ექიმი –
სულის და ფიზიკური
ტკივილების მალამო

მს ის ქალბატონია, რომლის თუნდაც ერთი შემოხვედა სულის სიმშვიდესაც მოგიტანს და იმ ტკივილებსაც დაეღებება საღებუნად, რომლებმაც მარინა ექიმს შეგახვედრა. იშვიათია დღეს ასე ტკივილად, ნახად მომდომარი შეგხედეს ვინმე... დამკურნალად, თითქოს ყველა თავის სულიერ თუ ფიზიკურ ტკივილთან გაუმეებულა და გაითიოკაცებულა, მაგრამ... უჯარმის საექიმო ამბულატორიის ექიმი, ოჯახის ექიმი – **მარინა-მარინა წოჟოლაშორი**



მართლაც იშვიათი პიროვნებაა. დაიხ, იშვიათია ასეთი ყურადღებიანი, კომუნიკაბელური, სხვისი გასაჭირის გულამდე მიმტანი. თუმცა, ვაღიაროთ, რომ ექიმი თავისი საქმის პროფესიონალი შეიძლება იყოს, მაგრამ სწავლება მისი უპირველესად მკურნალთან პირველივე შეხვედრა რაღაც იმედის ნაპერწკალს უჩენს გულში, ექიმის ერთი გაღიებება და საკუთარ ავადმყოფობასთან უკვე გამარჯვებული ხარ – გვერდით გიღვას ადამიანი, რომელიც ყველა სირთულეს, ყველა დაავადებას და გამარცხებინებს და მანამდე იქნება შენს გვერდით, მანამდე ეს საჭირო იქნება...

მარინა წოჟოლაშორი სოფელ გომბორში დაიბადა, სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიულ ფაკულტეტზე განაგრძო, რომელიც 1988 წელს დაამთავრა და მუშაობა უჯარმის საექიმო ამბულატორიაში დაიწყო. სიმართლე რომ გითხრათ, ჰუმანიტარი სიმართლე ის არის, რომ უჯარმელებს და უჯარმის თემში შემაგალი სოფლების მოსახლეობას ძალიან გაუხარდა მარინამის ექიმად მოსვლა. რატომ? იკთხავთ. ჯერ ერთი და თავიანთი მიწა-წყლის იყო და მეორეც აქ სულ რუსულენოვანი ექიმები მუშაობდნენ და ამბულატორიაში მისულს თარჯიმნის დახმარება სჭირდებოდა. მოგეხსენებათ, ტკივილების გაღმოცემისას სულ არ არის საჭირო სხვა პიროვნების ჩართვა, ის ხომ ისე ვერ იგრძნობს ავადმყოფის სულიერ გასაჭირსაც.

ყველაზე სასაცილო ახლა ახსენდება მარინა ექიმს: ერთი თვის მუშაობის „სტაჟის“ მქონეს მოუწია მშობიარის მიღება, რომელმაც ვერ მოასწრო სოფლიდან რაიონულ ცენტრში ჩასვლა... როგორ



დაავიწყდება ის „მიმე“, მაგრამ ყველაზე ბედნიერად გასახსენებელი წუთები, როცა მანქანის უკანა სავარძელზე მშობიარობა მიიღო მამის კაფანდარა გოგონამ, ვისაც პირველად ჰქონდა ფიზიკურ-პროფესიული შეხება სინამდვილესთან. დაიხ, მანქანის სავარძელზე დაიბადა იმ ოჯახის მესამე ვაჟი.

„ჩემს მოსახლეობასთან ერთად გამოვიარე 90-იანი ბნელი წლები, როცა არც დენი იყო, არც წამალი, არც კომუნიკაციის რაიმე საშუალება. ზოგჯერ პაციენტებთან ხალხური მედიცინის გამოყენებაც მიხდებოდა – ფიზიკურად არ იყო ფარმაცევტულად დამზადებული მედიკამენტები. რამდენჯერ მიხდებოდა სათილის შუქზე ავადმყოფის სასთუმალთან ღამის თევზა, ავადმყოფი იმედიანად რომ შებრძოლებოდა თავის სწულებას, მიმეცა რწმენა და ძალა – მალე გამოჯანმრთელების, თუმცა დღესაც ვერ მივატოვევ ავადმყოფს გასაჭირში, თუ საჭირო იქნება, ყოველთვის, დღე და ღამე მათ გვერდით ვიქნები და ვარ, აქაურები ჯანმრთელი გარემოს წყალობით ჯანმრთელობას არ უჩივიან, ერთეულები იყვნენ გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით, დიაბეტით, ტუბერკულოზით დაავადებულები, მაგრამ ბოლო ათეული წელია, იბატა ონკოლოგიურ დაავადებათა რიცხვმა.

0-დან 15 წლამდე თემში შემაგალი სოფლებში 75 ბავშვი გეყავს. მინდა გითხრათ, რომ ყველა ჯანმრთელია. 15 წლის ზევით კი – 833. ჩემთან ერთად უჯარმის თემის მოსახლეობას 22 წელიწადია შრომისმოყვარე, პროფესიონალი და ერთგული მედლა – ციალა ბოჟიჭაშვილი ემსახურება. ციალა ამავე დროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრია.

რაც შეეხება უჯარმის საექიმო ამბულატორიას, განათავსებულია უჯარმის გამგეობის ადმინისტრაციული შენობის ორ ოთახში და ვიმედოვნებთ, რეაბილიტაცია ჩაუტარდება და უკეთეს პირობებში შეეძლებოდა მუშაობას“ – იმედით ვემშვიდობებით მე და მარინა ექიმი ერთმანეთს.

მარინა ექიმს თავისი პროფესიული საქმიანობის წარმატებით მართვაში ყოველდღიურად გვერდში უდგას მეუღლე – მირიან (გია) დოლონაძე, რომელიც ერთხანს საგარეჯოს სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურს ედგა სათავეში. მათ ორი შვილი და შვილიშვილები უხალისებენ ცხოვრებას.

წარმატებებს გისურვებთ პროფესიულ საქმიანობაში, რომლის ახლიდან არჩევის შემთხვევაში, მარინა ექიმის თქმით ისევე ექიმობას ირჩევდა. ისევე ერთგულად, უღალატოდ დაუდგებოდა მხარში თავის უჯარმელებს, პალდოელებს, მუხროვანელებს და საერთოდ ყველას, ყველას, ვისაც ექიმის დახმარება სსჭირდება!..



მართლმადიდებლობა

აღდგომა ქრისტესი

5 მაისს აღდგომა!

ძრისტი აღდგა! ჭეშმარიტად აღდგა! – ასე ესალმებიან ერთმანეთს ქრისტიანები აღდგომას. ჩვენი მაცხოვრის, იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომა უდიდესია ქრისტიანულ დღესასწაულთა შორის. ეს არის ცოდვაზე გამარჯვების ზეიმი. აღდგომას წინ უსწრებს სააღდგომო მარხვა, რომელიც 48 დღე გრძელდება და სულიერად გვაშავებს ამ უდიდეს დღესასწაულთან შესახვედრად.

აღდგომა მოძრავი დღესასწაულია. წელს მართლმადიდებლურ სამყაროში წამებული იესოს მკვდრეთით აღდგომას ქრისტიანები 5 მაისს ულოცავენ ერთმანეთს.

იესოს ჯვარცმის შემდეგ ორმა დღემ გაიარა. მესამე დღეს კი უნდა აღსრულებულიყო ქრისტეს წინასწარმეტყველება: “მესამე დღეს მკვდრეთით აღდგები”. კვირა დღეს, გათეონისას საფლავის დარაჯებმა მიწისძვრა იგრძნეს. მეორე ანგელოზი დაინახეს, რომელმაც საფლავიდან ლოდი გადააგორა. ბოლოს იხილეს მაცხოვრის საფლავიდან აღდგომა. შიშით თავზარი დაეცათ და როდესაც გონს მოეგნენ, გაიქცნენ.

ჯერ გათეონებული არ იყო, როცა მარიამ მაგდალინელი, სალომე და სხვები საფლავთან მიდიოდნენ, რათა იესოს სხეულისთვის ნელსაცხებელი ეცხოთ, რაც დამარხვის დროს ვერ მოასწრეს. ქრისტეზე მგლოვიარე მარიამმა როცა დაინახა გადაგორებული ლოდი და ცარიელი საფლავი, იფიქრა, რომ ქრისტეს სხეული მტრებმა წაიღეს. დაინოქა და მწარედ ატირდა.

მაშინ ორი ანგელოზი იხილა. მათ მაგდალინელს ტირილის მიზეზი ჰკითხეს. მარიამმა უთხრა, რომ უფალზე ტირიდა. ეს რომ თქვა, უკან მკვდრეთით აღმდგარი უფალი იესო ქრისტე დაინახა. მარიამი ვერაფერს მიხვდა, ეგონა, მეზღალო. მაშინ იესომ უწინდელი ხმით დაუძახა: “მარიამ!” მარიამმა მაშინვე იცნო ხმაზე იესო. გაექანა, უნდოდა მუხლებზე მოჰხვეოდა, მაგრამ იესომ მას შეხების უფლება არ მისცა. გაეზავნა თავის ძმებთან და დააბარა, რომ ეთქვა: “აღვალ მამისა ჩემისა და მამისა თქვენისა, ღვთისა ჩემისა და ღვთისა თქვენისა თანა”. მარიამმა სასწრაფოდ ახარა იესოს აღდგომა იოანე და პეტრე მოციქულებს. მათ მიიბრძინეს მაცხოვრის საფლავთან და ნახეს, რომ ის ტილო, რომელშიც მაცხოვრის სხეული იყო გახვეული, ცალკე იდო, ხოლო სუღარა – ცალკე იოანემ დაიჯერა, პეტრეს კი უკვირდა ეს ამბავი.

აღდგომა იესო ქრისტე ორმოცი დღის განმავლობაში არაერთხელ გამოეცხადა მოწაფეებს. იგი მოციქულებს ღვთის სასუფეველზე ესაუბრებოდა. აჩვენა ჯვარცმიდან დარჩენილი წყლულები, რომლებიც სხეულზე ჰქონდა დარჩენილი და რამდენიმე სასწაული. ამის შემდეგ კი ქრისტეს აღდგომა მათაც იწამეს, რომელთაც ეს მანამდე არ სჯეროდათ. იესომ წმიდა სისხლით გამოგვისყიდა ცოდვისა და სიკვდილის მონებისგან.

აღდგომის დღესასწაულს მრავალი ტრადიცია უკავშირდება. მათ შორის არის კვერცხების წითლად შეღებვის ჩვეულება. ეს ტრადიცია წითელ პარასკევს, ანუ ქრისტეს ჯვარცმის დღეს უკავშირდება. როდესაც მარიამ მაგდალინელი იმპერატორს წარუდგინეს, მან ქვეყნის მმართველს სიმბოლურად კვერცი გადასცა და ქრისტეს აღდგომა ახარა. იმპერატორს ამის გაგონებაზე გაეცინა და თქვა, რომ ამის დაჯერება ისეთივე რთული იქნებოდა, როგორც ის, რომ ეს კვერცი გაწითლდებოდა. მას ჯერ სიტყვა არ დაეხსურებინა და კვერცი ჯერ გაგარდისფრდა, ბოლოს კი გაწითლდა. მარიამმა იმპერატორს ისიც აუწყა, რომ კვერცი სიცოცხლის სიმბოლოა, წითელი კვერცი – მაცხოვრის აღდგომისა. ეს გახდა დასაბამი იმისა, რომ ქრისტიანებს უფლის აღდგომა ერთმანეთისთვის წითელი კვერცხებით მიელოცათ.

ღარნაკებში დათესილი ხორბალი და მწვანე ჯეჯილზე გაგორებული წითელი კვერცხები სიკვდილის ძლევის სიმბოლოა. სააღდგომო სუფრა მრავალფეროვანი უნდა იყოს. ამ დღისთვის გამომცხვარი პასქა მაცხოვარს გვახსენებს, რომელიც ამბობს: “მე ვარ პური ზეცით გარდამოსული”.

ქრისტე აღდგა!!!

მაცხოვრის იერუსალიმში დიდებით შესვლა – ბზობა

მართლმადიდებელი ეკლესია 28 აპრილს იერუსალიმში მაცხოვრის დიდებით შესვლას, ბზობის დღესასწაულს აღნიშნავს.

ამასთან დაკავშირებით ტაძრებში საღვთსაწაულო წირვა-ლოცვა შესრულდება. დიდმარხვის მეექვსე კვირა დღეს მართლმადიდებელი ეკლესია მაცხოვრის იერუსალიმში დიდებით შესვლას ზეიმობს, რასაც ქრისტიანები ბაიაობას, ანუ ბზობას უწოდებენ. იგი ათორმეტთაგან რიგით პირველი მოძრავი დღესასწაულია, რომელიც ყოველთვის ბრწყინვალე აღდგომის წინა კვირა დღეს აღინიშნება.

წმინდა სახარების მიხედვით, მაცხოვრის შესვლა იერუსალიმს ძველბაგდადის მღვდლის სატახტო ქალაქში შესვლას ჰგავდა და მას უბრალო ადამიანებმა სახეიმო შეხვედრა მოუწყვეს. იერუსალიმისკენ მიმავალ მაცხოვარს გზაზე ხალხი სამოსელს უფენდა, ხოგს კი პალმის რტოები ეკავა და ასე ეგებებოდა მას. ყოველი მხრიდან ისმოდა ღაღადისი: “ოსანა ძესა დავითისასა, კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა! ოსანა, რომელი ხარ მადალთა შინა!”

ღვთსაწაულთან დაკავშირებით მლოცველები ტაძრებში ბზის რტოებით და სანთლებით მიდიან. ეკლესიებში ბზა იკურთხება, როგორც სიმბოლო უფლისთვის მიგებებისა. ბზობის გამო, დიდმარხვის ეს დღე თევზით ხსნილია.

შემდეგ ერთი კვირა კი მორწმუნეთათვის მიძევა, რადგან ვნების შეიდეული აღინიშნება.

წმინდა ცეცხლის ისტორია

იერუსალიმში, მაცხოვრის საფლავზე, წმინდა ცეცხლი გარდამოვიდა. უფლის საფლავზე აღმართული სამლოცველოდან, კუეუკლიდან წმინდა ცეცხლი იერუსალიმისა და სრულიად პალესტინის პატრიარქმა გამოიტანა. საქრისტიანოს უდიდესი საიდუმლო, წმინდა ცეცხლის გადმოსვლა, ყოველწლიურად დიდ შაბათს მაცხოვრის საფლავზე აღესრულება.

პირველი ცნობები ზეციური ცეცხლის გარდამოსვლის შესახებ უკვე ადრე შუა საუკუნეებში გვხვდება. V-VI საუკუნიდან ამ მოვლენაზე საუბარია სხვადასხვა წყაროებში, თუმცა მინიშნებების დონეზე. პირველი მკაფიო ისტორიული ცნობა უფლის საფლავზე „ზეციური ნათელის“ შესახებ მემკვიდრეებთან ჩნდება IX საუკუნიდან.

იერუსალიმში ჩასული ლათინი მომლოცველი ბერი ბერნარდი მოგვითხრობს: “დიდ შაბათს, აღდგომის წინა დღეს, უფალი ჩვენი იესო ქრისტეს საფლავზე დილის ღოცვის ჯამს, იმ დროს, როდესაც წარმოითქმევა “კირილესონ”, ჩამოდის ანგელოზი და ანთებს კანდელს პატრიარქი ცეცხლს გადასცემს ეპისკოპოსს, ხოლო იგი – მრევლს.”

ცნობილი საეკლესიო მოღვაწე, კესარიის მიტროპოლიტი არქანგელ X საუკუნის დასაწყისში წერდა: “ქრისტიანები ღვანან აღდგომის ტაძარში და აღავლენენ უფლის საიდუმლოდ ღოცვას – უფალო შეგვიწყადე. ამ დროს მოულოდნელად ჩნდება ელვა, რომელიც ანთებს კანდელს, საიდანაც ცეცხლს იღებენ იერუსალიმის მცხოვრებნი.”

IX-XVI საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა წყაროებში 45 უტყუარი ისტორიული მოწმობაა ზეციური ცეცხლის გარდამოსვლისა.

გამონაკლისი იყო მხოლოდ 1001 წელს, როდესაც ის მომდევნო დღეს – აღდგომის კვირას გამოჩნდა და კიდევ ერთი შემთხვევაა, როდესაც ელვამ ტაძრის კარიბჭის სვეტი გახლიჩა და წმინდა ცეცხლი იმ ადგილიდან, სადაც საუკუნეობა, ეს სასწაული ხდებოდა, რამდენიმე მეტრში გადმოვიდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით რამდენიმე ვერსია არსებობს: ერთის მიხედვით, ოსმალთა სულთნის ხელშეწყობით სომეხ სასულიერო პირებს მართლმადიდებელი ეპისკოპოსი ტაძარში არ შეუშვიათ და დიდ შაბათს ღოცვა თავად ჩაუტარებთ, მაგრამ ცეცხლი გარეთ მხოლოდ იმ სვეტზე გადმოსულა, რომელთანაც ბერძენი მართლმადიდებელი ეპისკოპოსი იგა თავის სამწყოსთან ერთად.

ქრისტეს აღდგომის (აღმოსავლური ტრადიციით), ანუ უფლის საფლავის (დასავლური ტრადიციით) ტაძარი IV საუკუნეში აშენდა. ქართველი ბერები წმინდა მიწაზე უკვე ამ ეპოქიდან ჩანან. X საუკუნიდან აღდგომის ტაძრის ნაწილი ქართველთა ხელთაა.

ფრიად საინტერესო ცნობაა დაცული ლუდოლფ ზუდჰაიმის 1347 წლის ცნობაში: “ქართველებს აქვთ წმ. საფლავის ეკლესიის გასაღები”. ამას ადასტურებს 1480-1483 წლები აღწერისას **შელიძე შაბრი: “წმ. საფლავის ეკლესიას, ასევე რომ ვთქვათ, აქვს სამი შესასვლელი მთორე შესასვლელი ჰიშკრით იხურება და ურდულით იკეტება; ამ კარის გასაღები ამჟამად ლათინი ძმობის წევრებს ეკუთვნის, მაგრამ რამდენიმე წლის წინათ ქართველები ფლობდნენ.”**

ბუნებრივია, უფლის საფლავზე ქართველთა ყოფნა ადრე შუა საუკუნეებიდან არის საგარეულო და ამდენად, ისინი ამ დიდი სასწაულის მომსწრენი და მონაწილეებიც იქნებოდნენ საუკუნეების განმავლობაში.

1899 წელს ეპისკოპოსმა პეტრე კენჭოშვილმა იმოგზაურა იერუსალიმში და აღწერა – “ღვთსაწაულთა წმ. ცეცხლის გამოჩენისა.” ამ მონათხრობით დაინახათ, რომ თითქმის არაფერი შეცვლილა 115 წლის შემდეგაც. “დიდს შაბათს, დილითგან ადრე, იკრიბებიან წმ. საფლავის ტაძარში მომეტებული ნაწილი მართლმადიდებელთა ქრისტიანეთა ადგილობრივ მცხოვრებთა და ყოველნი მლოცავნი დიდ-შაბათის ცისკრის დაწყების წინად, არაბნი მართლმადიდებელის სარწმუნოებისა შეასრულებენ ძველის დროდან ნება-დართულის სულთანის ფირმანით ჩვეულებასა სიხარულის გამოცხადებისათვის წმ. ცეცხლის გამოჩენის მიზეზისა გამო: ხმა-მადლის გროვით იგინი შემოურბენენ სამგზის გარეშემო კუეუკლიასა, სცემენ ტაშსა და მადლა ხმით დადადებენ: „უფალო შეგვიწყადენ“ და „არა არს სხვა სარწმუნოება, გარდა მართლმადიდებელის სარწმუნოებისა!“ შესავალი კუეუკლიისა ანუ წმ. საფლავის სამლოცველოსი დაიხშება და მიიბუკდება განსაკუთრებით ბუკლითა მაშადიან მეკარეთაგან წმ. საფლავის ტაძრისათა საფლავსა შესვლის უწინარეს ოსმალნი უშინჯავენ ჯიბეთა და თითქმის წვერსაც, რომ დაფარული არა ჰქონდეს წმ. წმ. წმ.”

ამ დღესასწაულობით წამს დამშვიდდება ეკლესიაში აღელვება, ყოველივე აღივსება მოლოდინითა და ღრმა ღუმილი სუფევს ყოველსა კუთხესა ვრცელისა და მრავალ-ეროვნული მორწმუნეთა კრებისა წმ. ცეცხლი აღმობრწყინდება თვით ქრისტე მაცხოვრის საფლავიდან, და იქილამ ადანთებს სანთელთა პატრიარქი. ამ წმ. ცეცხლს მოღურჯო ნათელი აქვს და არცა სწავას. ზოგნი პირისახეზედაც შემოივლებენ ანთებულს სანთელსა და არა სწავას, ვითარცა გადმომცეს იქ დამსწრეთ წმ. ცეცხლის გამოჩენის დროსა. ამ დროს თითოეულს იქ დამსწრეს, დიდსა და პატარას, უნდა ეყვრას ხელთა შინა ოცდაცამეტი სანთელი, სახსოვრად ქრისტე მაცხოვრის ქვეყნიერად ცხოვრებისა 33 წელთა.”

იერუსალიმის პატრიარქი დიოდორე ცეცხლის ბარჯამოსვლის შესახებ.

„როდესაც ცეცხლი ქრება (საუბარია უწინ ანთებულ კანდელზე), მე ვიხრები და საფლავის შიგნით შევიღვარ. იქიდან წველიაღმი გზას ვიკვლეუ ქვაბულის შიგნით შესასვლელში, იქ, სადაც იესოს ცხედარი ესვენა. მუხლს ვიყრი უფლის შიშით და... წარმოეთქვამ გარკვეულ ლოცვებს, რომლებმაც ასწლებულების გაგვლენით მოაღწია ჩვენამდე, და ველოდები. ზოგჯერ ღოდინი რამდენიმე წუთია საჭირო, თუმცა ჩვეულებრივ, სასწაული აღსრულდება ხოლმე ლოცვების დასრულებისთანავე. ქვის წაიდიდან, რაზეც ქრისტეს ცხედარი ესვენა, მოედინება შეუდარებელი ნათელი. როგორც წესი, მას ცისფერი დაპკრავს, თუმცა შეიძლება, ფერი იცვალოს და განსხვავებული შეფერილობები შეიძინოს. ამ მოვლენის აღწერა შეუძლებელია. შუქი ქვიდან ჩნდება, რომელიც ტბას ემსგავსება. საფლავის ქვას თითქოს ნოტიო ღრუბელი ფარავს, თუმცა ეს შუქია. ყოველ წელს ის განსხვავებულად გვევლინება. ზოგჯერ მთელ კუეუკლიას ანათებს ისე, რომ გარეთ მყოფი ადამიანებიც კი, თუ მათ საშუალება აქვთ შემოიხედონ, ამჩნევენ, რომ შიგნითა სივრცე შუქით ივსება. ეს ცეცხლი არ წვავს. მას სხვა ბუნება აქვს, არა ფიზიკური, არა ისეთი, როგორც კანდელშია. გარკვეულ ალაგს ის მადლა იხიდება და სვეტს ქმნის, ამ ალს სხვა ბუნება აქვს, ასე რომ, მე შემიძლია, მოეუკიდო ჩემს სანთლებს. ვიღებ და გამოვდივარ, თავდაპირველად ცეცხლს სომეხთა პატრიარქს გადავცემ, შემდეგ კოპტს. ბოლოს მე ვურიგებ ცეცხლს ტაძარში მყოფთ... ჩვენს ეკლესიებში ჩვენ ვაწვდებით მრავალ სასწაულს, სასწაული ჩვენთვის არ არის რაიმე უცნაური... თუმცა ვერც ერთი სასწაული თავისი სიმბოლურობითა და ძალით ვერ შეედრება წმინდა ცეცხლის სასწაულს. **ეს სასწაული - ღვთაებრივი საიდუმლოა.** ის ქრისტეს აღდგომას იმდენად აცოცხლებს ჩვენთვის, რომ თითქოს სულ რამდენიმე წლის წინ აღსრულდა ეს ყოველივე. მე იერუსალიმში 1939 წლიდან ვცხოვრობ, ქალაქში 15 წლის ასაკში ჩამოვედი, მას შემდეგ ვსწრები წმინდა ცეცხლის გარდამოსვლის ღვთისმსახურებას, სასწაულის მოწმე 61-ჯერ ვიყავი. ჩემთვის არ არსებობს შეკითხვა, მწამს თუ არა სასწაულის უტყუარობა...“

სპორტი

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

მტკიცე ნაბიჯი

ევროპის ჩემპიონატისაკენ

შოთა ტაბაბაძე –
რუმინეთის საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონია!



ამ ორიოდე წლის წინ ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების“ ბერძნულ-რომაული ჭიდაობის მწვრთნელი **თამაზ ყიფიანი** პირობას დებდა, რომ უახლოეს ხანებში საქართველოს გარდა, ევროპისა და საერთაშორისო ტურნირებზე მოპოვებული წარმატებებსაც აზიარებდა თავის აღსაზრდელებს და ისე ყველა ნატურა კარგად აგიხილეთ, როგორც მან ეს დააბრუნა შეასრულა. ჯერ იყო და შარშან მისმა აღსაზრდელმა **ლუბა მარტიანაშვილი** ბუდაპეშტში ევროპის და ბრაზილიაში ბავშვთა მსოფლიო თამაშების ჩემპიონობით გაგვახარა და ახლა მისი მეორე ასევე პერსპექტიული მოჭიდავე მანავის თემის სოფელ ბურდიანის მკვიდრი **შოთა ტაბაბაძე** რუმინეთში გამართული საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი გახდა 85 კგ წონით კატეგორიაში, 2009-2010 წლებში დაბადებული შორის.

გარდა იმისა, რომ ეს ტურნირი ევროპაზე დაყენებული შესაბამისი შეჯიბრების ხასიათს ატარებდა, ჩვენი ბურდიანელი ფალავანიც ეს წარმატება იმითაც იყო აღსანიშნავი, რომ შოთა ამ ტურნირში ახლახანს მორჩენილი ფეხით ჭიდაობდა, რომელიც ამასწინათ, საქართველოს ჩემპიონატში დაიშავა და ჩემპიონატის ფინალი ვერ იჭიდებდა. მიუხედავად ამისა, როგორც ვხედავთ, მან თავის მიზანს წარმატებით მიაღწია.



რაც შეეხება თავად ტურნირს, მასში ევროპის 10 ქვეყნის 300-მდე მოჭიდავე იღებდა მონაწილეობას. 85 კგ წონით კატეგორიაში შოთას გარდა კიდევ ორი მოჭიდავე იღებდა მონაწილეობას, თუმცა ვერც ერთმა შეძლო ფინალამდე მიღწევა, შოთამ კი ოთხი შეხვედრა თავის სასარგებლოდ დაასრულა და ჩემპიონიც გახდებოდა. პირველ შეხვედრაში მან დაჯაბნა ესპანელი მეტოქე, მეორე შეხვედრა მოუგო უკრაინელს, ფინალში გადასასვლელი შეხვედრა – უნგრელ მოჭიდავეს, ფინალში კი დაამარცხა მასპინძელი ქვეყნის ფალავანი. აქვე აღსანიშნავია ის, რომ ფინალამდე დარჩენილ ძირითად დროში იგი რუმინელთან ორი ქულის სხვაობით 7:5-ზე აგებდა, მაგრამ საფინალო სასტვენამდე 5 წამით ადრე რუმინელი 4 ქულიანი გდებით დაანარცხა ლეიბზეც და როგორც იტყვიან ჩემპიონობა ხელიდან გამოსტაცა. ამით შოთამ მტკიცე ნაბიჯი გადადგა ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად და იმედია, მისი იგი ასევე წარმატებით იასპარეზებს საბერძნეთში.

აქვე თამაზ ყიფიანი დიდ მადლობას უხდის ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების“ დირექტორს **მამუკა კურდიანაშვილს** ბაკურაიანსა და ოსურგეთში მოწყობილი შეკრებებისთვის, რომელშიც ჩვენი 15 წლის ბურდიანელი ფალავანიც მონაწილეობდა.

ბიძი ლაბახიშვილი

გარეჯელ სამბისტთა აპრილის ნაღვლი

10-11 აპრილს თბილისში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი სამბოში ახალგაზრდებს შორის. ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების“ სპორტსმენებიდან ამ ასპარეზობაში მონაწილეობდნენ მწვრთნელის მამუკა მათიაშვილის სამი აღსაზრდელი და სამივემ შეძლო საპრიზო ადგილების დაკავება.

თავიანთ წონით კატეგორიებში მეორე საპრიზო ადგილისა და ვერცხლის მედლის მფლობელები გახდნენ **ბიბი უსაიაშვილი** და **შალვა ბუღისაშვილი**. მძიმე წონაში ბრინჯაო მოიპოვა **სანდრო სინიშვილი**.

ბიძი ლაბახიშვილი



ჯანდაცვა

იმუნიზაციის კვირული

21-27 აპრილი ევროპის იმუნიზაციის კვირულია, რომელიც თითქმის ორი ათეული წელია რაც არსებობს და მისი ჩატარების თარიღად ყოველი წლის აპრილის ბოლო კვირა სახელდება. 2007 წლიდან მას სხვადასხვა აქტივობებით უერთდება საქართველოც. მისი მთავარი მიზანია მოსახლეობას სწორი ინფორმაცია მიაწოდოს პროფილაქტიკური აცრების მნიშვნელობასა და სიკეთეზე.



ვაქცინაცია მედიცინის ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევებია, ის ინფექციურ დაავადებებთან ბრძოლის უძველესი, ეფექტური და სანდო საშუალებაა. მისი მიზანია ადამიანის იმუნური სისტემის გაძლიერება, რათა ორგანიზმი წარმატებით შეეგებოდეს ინფექციას, დაინფიცირების შემთხვევაში კი თავიდან აიცილოს საშიში გართულებები. ყოველწლიურად უამრავ ბავშვს იცავს სიბრძნის, ინვალიდობის, გონებრივი ჩამორჩენილობის და ჯანმრთელობის სხვა მძიმე დარღვევებისგან.

იმის გამო, რომ ამჟამად საქართველოში ბავშვების უმეტესობა ვაქცინაციით დაცულია, მკვეთრად შემცირებულია დაავადებების შემთხვევები და შესაბამისად, მათ მძიმე შედეგებს სწორად ვერ ვხვდებით.

თანამედროვე ვაქცინები უსაფრთხოა, თუმცა ყველას აქვს აცრის შემდგომი არასასურველი მოვლენების განვითარების იშვიათი რისკი. რაც უფრო დროულად, კერძოდ ადრეულ ასაკში, ქვეყანაში მოქმედი აცრის კალენდრის შესაბამისად ჩაუტარებთ ბავშვს აცრებს, არასასურველი მოვლენების (ტემპერატურის მომატება, ინექციის ადგილის გაწითლება, მტკივნეულობა) განვითარების რისკი მით უფრო ნაკლებია. ასევე, დაავადების შემთხვევაში, აცრის კალენდარი ირდევს და ზოგიერთი აცრა აღარ უკეთდება (მაგ. როტავირუსის საწინააღმდეგო).

ჩვენი ეროვნული კალენდრის მიხედვით იმუნიზაცია იწყება დაბადებისთანავე. კერძოდ:

- 1. სამშობიაროში კეთდება „ბ“ ჰეპატიტის და ტუბერკულოზის საწინააღმდეგო ვაქცინები.
- 2. 2 თვის ასაკიდან კეთდება დიფტერია-ეფინანსხველა, ტეტანუსის, პოლიომიელიტის, ბტიპის ჰემოფილუს ინფლუენსას საწინააღმდეგო, სამჯერადად, ხოლო როტა ვირუსის და პნევმოკოკური ინფექციის საწინააღმდეგო ორჯერადად და უნდა დამთავრდეს 4-5 თვის ასაკში. ამისთვის ვიყენებთ როგორც კომბინირებულს (ექსკომპონენტთან), ისე მონოვაქცინებს (როტა ვირუსის და პნევმოკოკის საწინააღმდეგო). ამ ასაკში ბავშვი გაცილებით ადვილად იტანს აცრას (გვერდითი მოვლენების გარეშე), ვიდრე გვიან დაწყება-დამთავრების შემთხვევაში.
- 3. 1 წლიდან 2 წლამდე ასაკში ბავშვს უკეთდება წითელა, წითურა, ყბაყურას, პნევმოკოკის და დიფტერია-ეფინანსხველა-ტეტანუსი-პოლიომიელიტის საწინააღმდეგო აცრა.
- 4. 5 წლის ასაკში-წითელა-წითურა-ყბაყურას და დიფტერია-ეფინანსხველა-ტეტანუს-პოლიომიელიტის რევაქცინაცია.
- 5. 10-11-12 წლის ასაკის გოგონებში და ბიჭებში -ადამიანის პაპილომა ვირუსის საწინააღმდეგო აცრა.
- 6. 14 წლის ასაკში – ტეტანუსი-დიფტერიის რევაქცინაცია.

ჩვენს მუნიციპალიტეტში იმუნიზაციის პროგრამაში ჩართულია ორი იურიდიული დაწესებულება („ჯეო პოსპიტალის“ და კლინიკა „ლიფი“) და ოცდაორი სოფლის ექიმი. ყველა უზანს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი უწყვეტად ამარაგებს ახალგაზრდა მასალათა და ინვენტარით და პარალელურად მუდმივი მონიტორინგით მკაცრად ვაკონტროლებთ მათი ტრანსპორტირების და შენახვის პირობებს. ქვეყნის მიერ ჩვენი ჩართულობით მუდმივად ხდება როგორც საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ასევე ამცრელი კაბინეტების ცივი ჯაჭვის განახლება (მაცივრებით, ცივი ყუთებით, ელექტროთერმომეტრებით), რათა არ მოხდეს ტემპერატურული რეჟიმის დარღვევა და ვაქცინების უსაფრთხოების ეჭვქვეშ დაყენება. აქედან გამომდინარე მინდა მშობლებს ვურჩიო, რომ ნუ იფიქრებენ კერძო ვაქცინების უპირატესობაზე, რადგან არ ვიცით მათი ცივი ჯაჭვის დაცულობა როგორ ხორციელდება.

საქართველოში იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გამოიყენება მხოლოდ ჯანმრთელობის სერტიფიცირებული ვაქცინები. ამჟამად სახელმწიფო უზრუნველყოფს 13 ინფექციის იმუნოპროფილაქტიკას 9 ვაქცინის საშუალებით, რომელთაგან ყველაზე გვიან დაინერგა (მსოფლიოში 2006 წელს და საქართველოში 2019 წელს) ადამიანის პაპილომა ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მშობლებს საყურადღებოდ ვისაუბრო ამ ვაქცინის სიკეთესა და აუცილებლობაზე. დავიწვევ იმით, რომ ადამიანის პაპილომა ვირუსი სქესობრივი გზით გადაემდები მრავალი დაავადების გამომწვევია როგორც ქალებში, ასევე მამაკაცებში და ამავდროულად ძალიან გაურკვევლებელია. ხშირ შემთხვევაში ის უსიმპტომოდ მიმდინარეობს და თვითგანკურნებადია, თუმცა არის ვირუსის ონკოგენური ტიპები (მაგალითად მე-12 და მე-16 ტიპები), რომლებიც კბობს გამომწვევს სახეობებად არის ცნობილი და იწვევენ როგორც საშვილოსნოს ყელის კბობს, ასევე გენიტალურ მეტეკებს, პირხახის და ანოგენიტალურ სიმსივნეებს როგორც ქალებში ასევე მამაკაცებში. კერძოდ, ანუსის, ყელის, საშის და მამაკაცის სასქესო ორგანოს კბობს.

სწორედ ამ საშიში გენოტიპების საწინააღმდეგოდ მუშაობს ვაქცინა „გარდასილი“, რომელიც არის ყველაზე უსაფრთხო და ეფექტური ვაქცინა და აცრილობა 95-100%ში ვითარდება დამცველობით იმუნოტეტიკური ეროვნული კალენდრის მიხედვით აცრა ტარდება 10-11-12 წლის გოგონებსა და ბიჭებში და სწორედ ამ ასაკში ჩატარებული აცრების შედეგად ყალიბდება ძლიერი და ეფექტური იმუნური პასუხი.

მიუხედავად ვაქცინის ამ დიდი სიკეთისა, მშობლების ნაწილი ეჭვქვეშ აყენებს მის ეფექტურობას, უფრო მეტიც – იჯერებს არაკომპეტენტური და ანტივაქსერული პირების მიერ აგორებულ ჭორებს და არ ითვალისწინებს ოჯახის ექიმის რჩევას, რითაც ხელიდან უშვებს შესაძლებლობას დაიცვას თავისი შვილი მომაკდინებელი დაავადებისგან.

თუმცა, ვაქცის მიღწევებიც სხვა აცრებთან მიმართებაში და მიუხედავად ვაქცინაციის მიმართ გამოხზული თუ გაუმიზნავი დისკრედიტაციის მცდელობისა, ჩვენს ექიმები მოსახლეობასთან ერთად ერთ ჯანსაღ მხარეზე აღმოვჩნდით, რასაც ჩვენს მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად აცრების მოცვის მაჩვენებლებიც ადასტურებს (93-96%).

და ბოლოს მშობლებს ვურჩევდი კიდევ ერთხელ დაინტერესდნენ შეიღების აცრის სტატუსით, ხომ არ გამორჩათ რომელიმე ასაკობრივი აცრა, დაუკავშირდნენ ოჯახის ექიმებს, პედიატრებს, იმუნიზაციის წარმოებაზე პასუხისმგებელ პირებს, მიიღონ ინფორმაცია და სათანადო გადაწყვეტილება, რათა დაიცვან შვილები სიცოცხლისათვის საშიში დაავადებებისგან.

აცერი და დაცავი!
მანია ილაშვილი,
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის იმუნიზაციის ექიმი

საბარეჯოს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში იმ, სადაც ბავშვებს მიუხარიათ. . .

საბარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება №3 (მენეჯერი ია კვიციანი-მელიქიძე) 1966 წელს გაიხსნა. დაწესებულება,



რომელიც საბავშვო ბაღად იწოდებოდა, საგარეჯოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ბაღანსზე იყო და მეურნეობის თანამშრომელთა და ბაღ-ბოსტნებსა და ვენახებში მომუშავეთა ოჯახების ბავშვებს მზრუნველობას არ აკლებდნენ საბავშვო ბაღის გამგე ქეთევან დოღენჯაშვილი, პედაგოგები: ნინო ბურთიკაშვილი, მედეა ბროლაშვილი, ეთერ კველიშვილი, მერი კერატიშვილი, თამარ ღრეული, სონია გენგაშვილი, ზინა ხიბლაშვილი, მერი გვირიშვილი; ძიძები: ლამარა მარტიროსიანი, ნანული პაპუნაშვილი, რუსუდან ოზგელდაშვილი... ზაფხულის სიცხეს გარიდებულ საბავშვო ბაღის აღსაზრდელები გომბორის მაშინდელი სკოლა-ინტერნატის შენობაში აღმზრდელებთან ერთად საინტერესო ცხოვრებით ცხოვრობდნენ...

თაობები თაობებმა შეცვალა, იყო გაჭირვების - 90-იანი წლების პერიოდიც, მაგრამ საბავშვო ბაღს, ჩვენს რაიონში არსებულ სხვა საბავშვო ბაღების მსგავსად, ერთი დღეც არ გამოუკეტია კარები, რომ არა 2021-2022 წლების პანდემია.

დღეს საბავშვო ბაღის შენობა ფართოდ უხსნის კარს და აქ მომსახურეთა თბილი ღიმილით, უზომო მზრუნველობით, ათასნაირ გასართობებით დატვირთულ დღეს სთავაზობს იმ 78 აღსაზრდელს, რომლებიც ყოველ დღეს აქ ინტერესით მოიქაჩიან - რა ინოვაციებს სთავაზობს დღეს საბავშვო ბაღის დღის რეჟიმი, რას შეისწავლიან, როგორ გაერთობიან.

საბავშვო ბაღის 78 აღსაზრდელი სამ სასწავლო-სააღმზრდელო ჯგუფშია გაერთიანებული: ბაგის ასაკის, 4-5წლიანები და 5-6 წლიანები. აი, სასკოლო ასაკის ჯგუფებში 27 აღსაზრდელია, რომელთაგან 26 ახალი სასწავლო წლის სექტემბერში უკვე პირველკლასელის სტატუსით შეხსნის საჯარო სკოლის შენობის კარებს მანამდე კი მათ სწავლა-აღზრდას, სასკოლოდ მოსამზადებელ პროგრამას ერთად გადის აღმზრდელ-პედაგოგი **მერი კერატიშვილი** (1974 წელს დაამთავრა თბილისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური სასწავლებელი. 1977 წლიდან მუშაობა დაიწყო საგარეჯოს მესამე საბავშვო ბაღში), მზრუნველობას არ აკლებს მასთან ერთად აღსაზრდელებს აღმზრდელ-პედა-



გოგის თანაშემწე **ნატო ნუბრაძე**. 3-5 წლიანთა ჯგუფში კი აღმზრდელ-პედაგოგია **ეთერ კველიშვილი**, რომელმაც თბილისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 1969 წლიდან სწორედ ამ საბავშვო ბაღში დაიწყო აღმზრდელ-პედაგოგად მუშაობა და დღეს



აღმზრდელ-პედაგოგის თანაშემწე **ნათია ბაღდალაშვილი**თან ერთად მომავალი თაობის ყოველდღიური მეცადინეობების გაფორმება-გალამაზებაზე ზრუნავს. 2-3 წლიანთა ე.წ. ბაგის ასაკის პატარებს კი აღმზრდელ-პედაგოგი **სონია ბენბაშ**

30ლი (1977 წელს დაამთავრა თბილისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური სასწავლებელი და 1977 წლიდან დაიწყო მუშაობა საგარეჯოს III საბავშვო



ბაღში), თანაშემწე **ლია ალექსაშვილი**-ან ერთად მზრუნველობას და გასართობ მეცადინეობებს არ აკლებს. აღსაზრდელთა მუსიკის მასწავლებელია **მკატირძე მახანიშვილი**, ლოგოპედი **ქეთევან ღარბაიშვილი**, ფსიქოლოგი **მამა ბულიაშვილი**.

დაწესებულების აღსაზრდელთა ჯანმრთელობის ყოველდღიური მეთვალყურეობა მედიცინის დას **მაია ილაშუს** აქვს მინდობილი.



აღსაზრდელთათვის გემრიელი და სასარგებლო კერძების მომზადებაზე მზარეული **მკა ჯეშურაშვილი** და მისი თანაშემწე



ემწე **ნანული სუბიშვილი-მამურიშვილი** ზრუნავენ. ასევე, აღსაზრდელთა სწავლა-აღზრდის ყოველდღიურ საზრუნავს მომსახურე პერსონალი - ჭურჭლის მრეცხავეები **ნონა შარაძე** და **მაია ტიბინაშვილი**, დიასახლისი **რიმა შაპარაშვილი**, დიასახლისის თანაშემწე **ქრისტინე იაკობაშვილი**. მეზოფე **ნათია პაპიაშვილი** იზიარებენ.

სიმათლეს ვითარათ, ჩვენი მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ყველა დაწესებულების მუშაობას საკმაოდ გული-სურით და ინტერესით ვადევნებ თვალყურს. განსაკუთრებით ამ საბავშვო ბაღს, რადგან ათეულობით წლებია, თითქმის მისი დაარსებიდან ამოუცნობი სიბოთით მიყვარს და მაინტერესებს მის თანამშრომელთა წარმატებები - აქ ჩემი უმცროსი დები ბაღის გახსნის დღიდან პირველი აღსაზრდელები იყვნენ და აქ გაიზარდნენ, რომლებსაც ყოველ საღამოს ვაკითხავდი. მასხოვს მაშინდელი საბავშვო ბაღის გამგის, აღმზრდელების საოცრად თბილი დამოკიდებულება თითოეული აღსაზრდელის მიმართ. მასხოვს, როგორი რუდუნებით უვლიდნენ საბავშვო ბაღის ეზო-ხეხილნარს, ატარებდნენ საინტერესო ღონისძიებებს

... ეს ტრადიცია ყოფილი მენეჯერის **ნანა სულიკაშვილის** მენეჯერობის დროსაც არ დავიწყებიათ...

დღეს ამ სააღმზრდელო დაწესებულებაში საუკეთესო მეცადინეობებში ინტერესით „ითრევის“ პატარებს დაწესებულების მენეჯერი ია კვიციანი-მელიქიძე.

ია კვიციანი-მელიქიძე სოფელ გიორგიშინდის საჯარო სკოლის დამთავრების შემდეგ, 2012 წელს სწავლა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტულ ფაკულტეტზე განაგრძო, რომლის დამთავრების შემდეგ ერთხანს აფთიაქში მუშაობდა, შემდეგ კი ილიას კოლეჯში ორწლიანი კურსი გაიარა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების აღმზრდელის პროფესიის დასაუფლებლად და 2021 წლიდან საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება №3-ის მენეჯერია.

წარმატებები, კვლავაც საინტერესო სიახლეებით დატვირთული დღეები ვუსურვოთ დაწესებულების თვალმახარა გოგობიჭებს და მათზე მზრუნველ, ამაგდარ ადამიანებს!



რედაქტორი:
თინათინ ილაური
საიდან: კოდი 438107460. ტირაჟი - 300
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნე“-ში
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა შპს „კოლორ პრესს“-ში.
ტელეფონი: 599 851 143
ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com

